ძნელი გამარჯვება

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 7 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - “ზენიტი” (ლენინგრადი) 2:0 (1:0).

“ზენიტი”: ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, სპირიდონოვი, დანილოვი, ბელიკოვი, ზავიდონოვი, მარკოვი, სოვეიკო, დერგაჩოვი, ბურჩალკინი, კროტკოვი.

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, აფშევი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი: ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

ყოველკვირეული დამატება “ფუტბოლის” ფურცლებზე სულ ახლახანს საინტერესო პოლემიკა მიმდინარეობდა იმის თაობაზე, თუ რა როლის შესრულება შეუძლია თანამედროვე ფეხბურთში ე.წ. “მწმენდავს”, ზედმეტ მცველს გუნდის უკანა ხაზში, რომლის მოვალეობას ძირითადად წარმოადგენს პარტნიორების შეცდომათა გამოსწორება და საერთო ურთიერთდაზღვევის მოწესრიგება მათ შორის.

კამათში მონაწილეობდნენ ცნობილი მწვრთნელები, სპეციალისტები, რომელთა უმრავლესობა სავსებით სამართლიანად უსვამდა ხაზს, რომ “მწმენდავის” არსებობა გუნდში სერიოზულად აღარიბებს მის შემტევ შესაძლებლობებს, რომ იგი ამუხრუჭებს თანამედროვე ფეხბურთს და ამ ტაქტიკას, როგორც წესი, მიმართავენ სუსტები, რომლებიც დროებით ხსნას ეძებენ თავდამსხმელთა რიგებიდან ნასესხები მოთამაშის ხარჯზე.

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული გუშინდელ მატჩში თბილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “ზენიტს” შორის. მაყურებლები მოწმენი იყვნენ იმისა, თუ რა ძლიერი, სავსებით კვალიფიციური და ჩამოყალიბებული თამაში აჩვენეს ლენინგრადელებმა და მაინც როგორ ეტყობოდა მათ შეტევას ერთი ერთეულის ნაკლებობა. საკმარისი იყო “ზენიტს” წინ გადაეყვანა დაცვის რიგებიდან მოთამაშე (ეს მოხდა მეორე ტაიმში) და თბილისელთა კარი ხანგრძლივი, ძალზე სახიფათო დაწოლის წინაშე აღმოჩნდა.

ლენინგრადელთა შორის არიან მაღალი კლასის, ძლიერი ფეხბურთელები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ძნელია. საკმარისია აღინიშნოს ბურჩალკინის აგრესია და შრომისუნარიანობა, ზავიდონოვის, დანილოვის, დერგაჩოვის, კროტოვისა და სხვათა მაღალტექნიკური, დაუღალავი თამაში და მით უფრო გასაკვირია, რომ “ზენიტმა” მიმართა პრესინგს (გაიხსენეთ, როგორ დასდევდნენ დინამოელთა ფორვარდებს ფეხდაფეხ ზენიტელი მცველები). როცა დადგა გასაჭირი, სტუმრების მცველები უფრო აქტიურად ჩაებნენ იერიშში და “დინამოს” თავდამსხმელებს ხანგრძლივი დროით მოუხდათ საკუთარ ნახევარზე ჩამოსვლა მცველთათვის დახმარების გასაწევად.

მართალია, “ზენიტმა” წააგო მატჩი, მაგრამ, ვიმეორებთ, გუნდმა დატოვა კარგი შთაბეჭდილება და მეორე ტაიმში მას ხანგრძლივად ეპყრა კიდეც ხელთ ინიციატივა.

უკვე მატჩის დასაწყისში ცხადი გახდა, რომ მოწინააღმდეგისათვის იმ ტემპის თავზე მოხვევა, რომელიც თბილისელებს ჰქონდათ მოსკოვის არმიელებთან, შეუძლებელი იქნებოდა. “ზენიტი” თვითონ იბრძოდა მთელი თავგამოდებით. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა ნახევარდაცვას და თუმცა იამანიძემ და გ. სიჭინავამ თავიანთ ზონაში დიდი შრომა გასწიეს, მათი თამაში არ იყო ისე დახვეწილი, შეთანხმებული და უშეცდომო, როგორც ადრე, ამიტომ დაცვასაც გაცილებით მეტი

უსიამოვნების გადატანა მოუხდა. ეს ძნელი გამოცდა “დინამოს” მცველებმა კარგად ჩაატარეს.

თავდამსხმელთა შორის უნდა აღინიშნოს, რომ მესხი ჯერ ვერაა შესული თავის ნამდვილ საბრძოლო ფორმაში. ის მძლავრი შტურმი, რომელსაც დინამოელები შეჩვეული არიან მარცხენა ფლანგიდან, არ ხორციელდებოდა, ამიტომ ლიდერის როლი თავდასხმაში მთლიანად აიღო თავის თავზე მეტრეველმა და ტონი მისცა თავისი პარტნიორების თამაშს. დინამოელთა მარჯვენა გარემარბი მოქმედებდა სწრაფად და საზრიანად. მისი ყოველი მოქმედება ზუსტად შეესაბამებოდა მინდორზე შექმნილ ვითარებას და ზენიტელები იძულებული იყვნენ მასთან საბრძოლველად დამატებით გამოეყოთ სპირიდონოვი, რომელმაც პატიოსან სპორტულ ორთაბრძოლაში დამარცხებას არჩია ყოვლად უხამსი, დაუფარავი უხეშობა.

თბილისელთა მიერ გატანილ ორივე გოლში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მეტრეველმა თქვა. მე-14 წუთზე მან კარგად გაითამაშა ბურთი ბარქაიასთან და ამ უკანასკნელმა ძნელი მდგომარეობიდან შეძლო ანგარიშის გახსნა - 1:0. მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე მეტრეველმა თითქმის მთელი მინდორი განვლო ბურთით. მიაწოდა ცენტრში, სადაც აფშევმა სოვეიკოსთან და ვოსტროილოვთან ბრძოლაში მეორე ბურთი გაიტანა “ზენიტის” კარში.

თბილისელებმა მორიგი 2 ქულა ჩაიწერეს ამ ძნელ თამაშში.

ვ. მდივანი.
“ლელო”, 8 აპრილი, 1964 წ.